

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით  
უზრუნველყოფა (უფასო სასადილო)

05-12-2016 წელი

ქალაქ ფოთი  
სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნიკოლოზ გრიგოლია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან ჩოჩია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის წევრი);
3. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
4. ზურაბ ჯამბურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი (კომისიის წერი).

კომისიის აპარატის წევრი:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი მათა სულავა, შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ამირან კაკულია;

დღის წესრიგი:

1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, სატენდერო განცხადების ნიმუშის, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

განიხილეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 2 დეკემბერს დავალების (რეზოლუცია) შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის მიერ წარმოდგენილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების საკითხი;

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით;
2. დამტკიცდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების ნიმუში თანახმად დანართი 1,2-ისა;
3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 194864 ლარით, დღგ-ს გარეშე, ბიჯი განისაზღვროს 1948 ლარის ოდენობით.

4. სატენდერო კომისიის აპარატმა განახორციელოს ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე



ნიკოლოზ გრიგოლია

კომისიის წევრები:



ლევან ჩოჩია



ვასილ თოდუა



ზურაბ ჯამბურია